საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის

ბრძანება №112

2016 წლის 15 აგვისტო

ქ. თბილისი

„სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის №55 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის №55 ბრძანებაში (სსმ, 100110000.22.038.016310, 10.04.2014 წ.) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული წესის:

1. მე-2 მუხლის მე-11 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამკურნალო დაწესებულებაში/ცენტრში გადაყვანილი პაციენტი სამკურნალო დაწესებულების/ცენტრის დირექტორისა და შესაბამისი მთავარი ექიმის შუამდგომლობის საფუძველზე, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით, როგორც წესი, ბრუნდება იმავე დაწესებულებაში, საიდანაც იგი იქნა გადაყვანილი. პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ბრძანება უნდა აღსრულდეს მისი გამოცემიდან 24 საათის ვადაში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის მინისტრი **კახა კახიშვილი**